



ახალგაზრდა ადვოკატები YOUNG BARRISTERS

ლირსება თავისუფლება თანასწორობა DIGNITY LIBERTY EQUALITY

იანვარი, 2014. №07 (7)

გამოხმაურება

„ახალგაზრდა ადვოკატები“ პრაზილიანთა მიმართ გაიზიარა

„ახალგაზრდა ადვოკატები“ შეუერთდა ერთობლივი განცხადების ტექსტს საქართველოს პრეზიდენტის მიმართ, რომლითაც გამოითქვა უკმაყოფილება, პრეზიდენტის გადაწყვეტილების შესახებ, სამოქალაქო სექტორთან შეხვედრის დროს, მხოლოდ შერჩეულ არასამთავრობო სექტორთან გამართულიყო სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობა. ერთობლვ განცხადებაში შემდეგი აქცენტები იქნა დასმული:

არასამთავრობო ორგანიზაციები: „ახალგაზრდა ადვოკატები“, „საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია“ და „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ ადასტურებს პატივისცემას იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა მიმართ, რომლებიც ზემოხსენებულ შეხვედრას ესწრებოდნენ და არ აყენებს ეჭვქვეშ მათი კვალიფიციურობის საკითხს. თუმცა, ამავდროულად შეშფოთებას გამოთქვამენ იმ ფაქტურული მემკვიდრეობის მქონე ძეგლების დაცვა, როგორც განსახლებისა და კომპენსაციების საკითხი, მათ შორის საერთაშორისო გამოცდილება, კომპენსაციის რეგულაცია, რამდენად იქნება დაცული მესაკუთრეთა უფლებები, რას ამბობს მსოფლიო ბანკის სტანდარტები კომპენსაციის გაცემის წესსა და მიდგომებზე, როგორც საერთაშორისო გამოცდილება ამ მიმართულებით და რას გვთავაზობს ხუდონჰესის მშენებარე კომპანია, ხუდონჰესის მშენებლობით, როგორც იქნება ეკონომიკური ურთიერთობების გავლენა ქვეყნის სამართლებრივ ნებსზე და სხვა.




ტის გამო, რომ როგორც დღევანდელ, ისე, ზოგადად მსგავსი ფორმატის შეხვედრებზე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ახალგაზრდული პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებს ნაკლებად ეძლევათ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისა და ღია დისკუსიაში მონაწილეობის საშუალება.

“ვიმედოვნებთ, აღნიშნული სამუშაო გამოცდილება მეტწილად ტექნიკური ხასიათის ხარვეზებითაა გამოწვეული, რაც უახლოეს მომავალში აღმოიფხვრება. ვფიქრობთ, რომ ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებს მაქსიმალურად უნდა მიეცეთ საშუალება იქონიონ ინტენსიური კომუნიკაცია სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, იმისათვის რომ დღის წესრიგში მეტი სიმწვავეთა დაყენონ რიგი საკითხებისა, რომელიც შეეხება: განათლების, ახალგაზრდების დასაქმების, არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რესოციალიზაციის, ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფების წახალისებისა და მათი მონაწილეობის უზრუნველყოფი მექანიზმების შესახებ ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებში, მათ შორის საკონსტიტუციო რეფორმაში.” - ნათქვამია არასამთავრობოების ერთობლივი განცხადებაში.

კვლევა

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ხუდონჰესის პროექტის სამართლებრივ ანალიზს წარმოადგენს



არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ ხუდონჰესის პროექტის სამართლებრივ საკითხებს შეისწავლის და ანალიზს წარმოადგენს. ამის შესახებ 2014 წლის 18 იანვარს გამართულ ბრიფინგზე ორგანიზაციის თანადამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაძეშვილმა განაცხადა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, საზოგადოებაში გრძელდება დისკუსია, რამდენად მიზანშეწონილია მესტიის მუნიციპალიტეტში ხუდონჰესის პროექტის განხორციელება, თუმცა საზოგადოება ნაკლებად ინფორმირებული, ხშირ შემთხვევაში, არ არსებობს ზოგადი წარმოდგენა, რა მნიშვნელოვან კომპონენტებს შეიცავს პროექტის იურიდიული მხარე. საზოგადოებაში მსჯელობა მიმდინარეობს მხოლოდ ჰესის აშენების საკითხზე და არ არსებობს ხელმისაწვდომობა ინფორმაციის, თუკი ხუდონჰესის მშენებლობის გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ეს გადაწყვეტილება რა სამართლებრივი შედეგების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს. შესაბამისად, ორგანიზაციის სამართლის ჯგუფი გამოთქვამს მზადყოფნას, შეისწავლოს პროექტის რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი: ხუდონჰესის მშენებლობის პროცესში, პროექტს რამდენად ზუსტად აქვს ნაჩვენები უსაფრთხოების საკითხი, როგორ წარმართება განსახლების პროცესი, ვინ არის პროცესზე პასუხისმგებელი — სახელმწიფო თუ მშენებარე კომპანია, რა ფორმით ხდება ადგილზე კულტურული მემკვიდრეობის მქონე ძეგლების დაცვა, როგორც განსახლებისა და კომპენსაციების საკითხი, მათ შორის საერთაშორისო გამოცდილება, კომპენსაციის რეგულაცია, რამდენად იქნება დაცული მესაკუთრეთა უფლებები, რას ამბობს მსოფლიო ბანკის სტანდარტები კომპენსაციის გაცემის წესსა და მიდგომებზე, როგორც საერთაშორისო გამოცდილება ამ მიმართულებით და რას გვთავაზობს ხუდონჰესის მშენებარე კომპანია, ხუდონჰესის მშენებლობით, როგორც იქნება ეკონომიკური ურთიერთობების გავლენა ქვეყნის სამართლებრივ ნებსზე და სხვა.

მონიგორინგი

რეიტიგული 22 კომპანიიდან. შრომის ახალი კოდექსის მოთხოვნები მხოლოდ 7-მა შეასრულა, 15 კომპანიის პოზიციის კი — გაუჩვენებელია



მოკლედ

- „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2014 წლის იანვარში 5 პრესკონფერენცია გამართა, მოამზადა ერთი განცხადება და ერთი მიმართვა კოლეგა არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით.
- ორგანიზაციამ გამოაქვეყნა კვლევა, თემაზე: „ქართული რეიტინგული კომპანიები შრომის კოდექსის ახალ სტანდარტებთან იმპლემენტაციაში“.
- ორგანიზაციამ დაიწყო კვლევა, თემაზე: „ხუდონჰესის პროექტის სამართლებრივი ანალიზი“. კვლევის ფარგლებში, მომზადდება სხვადასხვა შეხვედრები და აქტიურობები. კვლევა აპრილში გამოქვეყნდება.
- ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მონიტორინგის შედეგები, თემაზე: „პოლიტიკოსების ქონებრივი დეკლარაცია და მათი ფარული ბიზნეს ინტერესები“. სამართლის ჯგუფი საკითხზე მუშაობას აგრძელებს.
- ორგანიზაციამ მოამზადა სტრატეგიული საქმიანობების განახლებული გეგმა და მიდა მე-ნეგენდის მიმართულებით, შექმნა მოქალაქეთა ადვოკატირების ჯგუფი, საქართველოს პარლამენტთან ურთიერთობის ჯგუფი, საერთაშორისო ურთიერთობების ჯგუფი და საპროექტო წინადადებების მომზადების ჯგუფი.
- ორგანიზაცია შეხვდა საქართველოს სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილს.
- ორგანიზაცია დაესწრო ქ. თბილისის საკრებულოში გამართულ არასამთავრობო ორგანიზაციათა შეხვედრას, რომელზედაც გაშინილულ იქნა ქ. თბილისის ბიუჯეტი.
- ორგანიზაცია დაესწრო „სისხლის სამართლის რეფორმის ალიანსის“ განახლებულ სამუშაო შეხვედრებს, რომელიც სისხლის სამართლის კანონმდებლობაში რეგულაციების ახალ სტანდარტებზე მუშაობს.
- ორგანიზაცია დაესწრო „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ ეგიდით დაწყებული პროექტის „სტრატეგიული სამართალწარმოება — დარღვეული უფლების აღდგენა და აღსრულება“ განახლებულ სამუშაო შეხვედრებს.
- ორგანიზაცია დაესწრო „ახალგაზრდა ეკონომისტთა კლუბის“ მიერ მომზადებულ მრგვალ მაგიდას, რომელიც ეხებოდა ხუდონჰესის მშენებლობის ეკონომიკური მნიშვნელობის საკითხებს. ორგანიზაციის სახით, შეხვედრაზე იურიდიული პროფილის მხოლოდ ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაცია იმყოფებოდა.
- ორგანიზაციის გამოცხადებულ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და შესაბამის თანამშრომლობა „საქართველოს სივრცითი მონეობისა და მშენებლობის კოდექსის“ პროექტზე დისკუსიაში მონაწილეობისთვის.
- ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ მომზადებულ ღონისძიებაში, რომელიც ეხებოდა ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის 2014 წლის სტრატეგიული ხედვის პრეზენტაციას.
- ორგანიზაციამ, 2014 წლის იანვარში, სხვადასხვა უფლებამოსილი პირის მიმართ მოამზადა და გაგზავნა, სულ 29 წერილი. წერილები გაიგზავნა ეროვნულ დონეზე, სხვადასხვა სამინისტროს, საჯარო უწყებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ.
- ორგანიზაციამ მოამზადა პროექტი: „ინფორმირებული საზოგადოება სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების პროცესში“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა, სამართლებრივი ზამკვლევის გამოცემა და საქართველოს რეგიონებში, მოსახლეობისთვის შეთავაზება.
- ორგანიზაციამ მოამზადა პროექტი: „აქტიური აზერბაიჯანულენოვანი მოქალაქეები დემოკრატიული მმართველობის ხელშეწყობისთვის“, რომლის მიზანია, ამომრჩეველთა ინფორმირება წინასაარჩევნო და საარჩევნო პროცესში, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მნიშვნელობის გადაცემა.
- ორგანიზაციამ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში, მოამზადა საკითხი, თემაზე: „მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი საქართველოში“. ორგანიზაცია განხორციელებას თებერვლის მეორე ნახევარში გეგმავს.
- ორგანიზაციამ სამოქალაქო კამპანიის ფარგლებში, მოამზადა ინიციატივა „სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირება საქართველოს ევროპული არჩევანის შესახებ“. საკითხი დაეთმოდა საქართველო—ევროკავშირის ურთიერთობებს და პარაფირების ხელშეკრულების მნიშვნელობის გაცნობას მოსახლეობისათვის. ორგანიზაცია ინიციატივის განხორციელებას თებერვალში გეგმავს.
- ორგანიზაციამ გრძელდება 2013 წელს დაწყებული კვლევაზე: „კერძო სექტორში დასაქმებული დედების უფლებრივი მდგომარეობა“ — მუშაობა.
- ორგანიზაციის სამართლის ჯგუფი მუშაობს საერთაშორისო ხასიათის საპროექტო წინადადებებზე, რომელიც ეხება ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების საერთო ინტერესებს დემოკრატიისა და უფლებების მიმართულებით.
- ორგანიზაციამ განხორციელა 3 სასამართლო წარმომადგენლობა და 5 იურიდიული კონსულტაცია. მომზადდა 3 სარჩელი.
- ამოქმედდა ორგანიზაციის ინგლისურენოვანი საიტი და მომზადდა ორგანიზაციის ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელ „ტვიტერზე“.

მონიტორინგი

ჩეიზიგული 22 კომპანიიდან, შრომის ახალი კოდექსის მოთხოვნები მხოლოდ 7-მა შეასრულა, 15 კომპანიის პოზიცია კი – გაუჩვენებელია



არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საკითხზე: „ქართული რეიტინგული კომპანიები შრომის კოდექსის ახალ სტანდარტებთან იმპლემენტაციის მიზანშეწონიერების მონიტორინგის შედეგები წარმოადგინეს. ორგანიზაციამ გაითვალისწინა საზოგადოების მაღალი ინტერესი საქართველოს შრომის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების მიმართ და მოახდინა ცნობილი ქართული კომპანიების მონიტორინგი, რათა განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, საჯარო გამხდარიყო დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებრივი მდგომარეობა, პრობლემების იდენტიფიცირება და არსებული ხარვეზების საკანონმდებლო დონეზე წარდგენა და ლობირება.“

ორგანიზაციამ მონიტორინგის განხორციელების პროცესში, ქართულ რეიტინგულ კომპანიებში შრომის კოდექსის ახალი სტანდარტების იმპლემენტაციის შემოწმება, რამდენიმე პრინციპს დაუქვემდებარა. კერძოდ: კვლევაში მონაწილე კომპანიები უნდა ყოფილიყვნენ საზოგადოებისთვის სანდო და ცნობილი; კვლევაში მონაწილე კომპანიები არ უნდა შეადგენდნენ სამომხმარებლო ერთს ფეროს და კვლევაში მონაწილე კომპანიებს უნდა ჰქონოდათ მსხვილი გადახდის სტატუსი. ორგანიზაციამ საქართველოს შემოსავლების სამსახურიდან მიღებული მონაცემთა ბაზის გათვალისწინებით, კვლევისთვის, სულ 22 შემდეგი კომპანია შეარჩია: კომპანია ალდაგი, „ბარამბო“, „ელიტ ელექტრონიკა“, „გუმბათი ჯგუფი“, „კავკასუს ონლაინი“, „კაზინო აჭარა“, „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, „მაგთიკომი“, „ლომისი“, „ნიკორა“, „ნიუ ჰოსპიტალი“, „პოპული“, „პროკრედიტ ბანკი“, „პსპ ფარმა“, ტელეკომპანია „რუსთვი 2“, „თალაურა მენეჯმენტ კომპანია“, „თეგეტა მოტორსი“, „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“, „ყაზტრანსგაზ-თბილისი“, „საქართველოს ფოსტა“ და „საქართველოს რკინიგზა“. კვლევაში შერჩეული 22 ცნობილი კომპანიიდან მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 7-მა, სხვადასხვა მიზეზით გამოსხაურებისგან თავი შეიკავა 12-მა, ხოლო ორგანიზაციასთან კომუნიკაცია საერთოდ არ უზრუნველყო 3-მა კომპანიამ.

მონიტორინგის განხორციელების შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპანიებმა: „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, „ყაზტრანსგაზ-თბილისი“, „საქართველოს ფოსტა“, „ნიუ ჰოსპიტალი“, „თეგეტა მოტორსი“, „მაგთიკომი“ და „გუმბათი ჯგუფი“,

შრომის კოდექსში შესული ცვლილებების შემდეგ, უზრუნველყვეს ახალი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება, მათ შორის 2013 წლის ივნისის თვის შემდგომ მიღებულ თანამშრომლებთან და 2013 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მოქმედი კოდექსის საფუძველზე, მოახდინეს არსებული ყველა შრომითი ხელშეკრულებების განახლება.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიამ“ შრომითი ხელშეკრულებები განაახლა კომპანიაში დასაქმებულ 365 თანამშრომელთან, „ყაზტრანსგაზ-თბილისმა“ 983 თანამშრომელთან, „გუმბათი ჯგუფმა“ 85 თანამშრომელთან, „თეგეტა მოტორსმა“ 780 თანამშრომელთან, „ნიუ ჰოსპიტალსმა“ 808 თანამშრომელთან, „საქართველოს ფოსტის“ ინფორმაციით კი, 2013 წლის 1 სექტემბრიდან ახალი ხელშეკრულებები დაიდო ორგანიზაციაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელთან, კომპანია „მაგთიკომმა“ კი მიუთითა, რომ „კომპანიაში დასაქმებულია ასეულობით ადამიანი და მათი რიცხვის ცვალებადობა არ გამოუწვევია შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს“.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ კვლევაში მონაწილე კომპანიებმა თანამშრომლებთან გააფორმეს 1—წლიანი კონტრაქტები. შრომის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებამდე, დასაქმებულებთან ფორმდებოდა 1—თვიანი ხელშეკრულებები ან/და 6—თვიანი გამოსაცდელი ვადით. ორგანიზაციამ მონიტორინგის ფარგლებში სურვილი გამოთქვა მოეხდინა ახალი შრომითი ხელშეკრულებების სამართლებრივი ექსპერტიზა, თუმცა ახალი შრომითი ხელშეკრულების ნიმუშის მონოდება მხოლოდ კომპანიებმა: „ნიუ ჰოსპიტალსმა“ და „გუმბათი ჯგუფმა“ უზრუნველყვეს. კვლევაში მონაწილე ყველა სხვა კომპანიამ, ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარის მოუწოდებლობა კონფიდენციალური შინაარსით დაასაბუთა.

ორგანიზაცია აღნიშნევას, რომ კვლევაში მონაწილე არც ერთი კომპანიას არ გააჩნდა სამართლებრივი ვალდებულება, უპირობოდ მიეღო მონაწილეობა საკითხის: „ქართული რეიტინგული კომპანიები შრომის კოდექსის ახალ სტანდარტებთან იმპლემენტაციაში“ შესწავლაში, თუმცა კომპანიებმა, რომლებმაც მონაწილეობა არ მიიღეს შეთავაზებულ ინიციატივაში, ვერ უზრუნველყვეს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილება შრომის კოდექსში განხორციელებული რადიკალური ცვლილებებთან მიმართებით.

ორგანიზაცია მონიტორინგის შედეგების გამოქვეყნების მიუხედავად, იმის გათვალისწინებით, რომ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის

შრომითი ურთიერთობები კანონში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, საქართველოში კვლავ პრობლემურ სფეროდ რჩება, რეკომენდაციით მიმართავს, როგორც კვლევაში არმონაწილე კომპანიებს, ასევე აღნიშნულ კომპანიაში დასაქმებულ მოქალაქეებსაც, რათა მაღალი საზოგადოებრივი და დასაქმებულთა ინტერესების გათვალისწინებით, ასევე გამჭვირვალობის პრინციპებიდან გამომდინარე, მოხდეს შემდეგი მოქმედებების განხორციელება:

- 2014 წლის 10 თებერვლამდე, კომპანიებმა, რომლებმაც უარი განაცხადეს მონაწილეობა მიეღოთ კვლევაში: „ქართული რეიტინგული კომპანიები შრომის კოდექსის ახალ სტანდარტებთან იმპლემენტაციაში“, უზრუნველყონ მათ წინაშე ორგანიზაციის მიერ 2013 წლის 16 აგვისტოს მიმართვით დასმულ საკითხებზე სრულყოფილი ინფორმაციის მომზადება და გამოქვეყნება კომპანიების ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე.

- ორგანიზაცია კონფიდენციალობის მაღალი ხარისხის დაცვით, გამოთქვამს მზადყოფნას შეხვედეს და გაეცნოს აღნიშნულ კომპანიებში დასაქმებულ თანამშრომლებს, რათა

არსებობდეს უტყუარი და მიუკერძოებელი ინფორმაცია, ახალი შრომის კოდექსის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის სამუშაო გარემოს დადებითი და პრობლემური მხარეების შესახებ

- იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული კომპანიები უყურადღებოდ დატოვებენ მონიტორინგის შედეგად დასმული საკითხების გასაჯაროებას ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული დროითა და ფორმატით, კვლევის ავტორებს გვექნება აზრი, რომ აღნიშნულ კომპანიებში დღემდე არ მომხდარა ახალი შრომის კოდექსის იმპლემენტაცია, რაც გახდება საჯარო სივრცეში შემდეგი დისკუსიისა და მსჯელობის საგანი.

ორგანიზაცია მოზმადებულ დოკუმენტს შემდგომი გაცნობისათვის მინდვის საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას, სხვადასხვა ორგანიზაციებსა და თემით დაინტერესებულ ჯგუფებს, რათა შრომის კოდექსის შემდგომი გაუმჯობესების პროცესში, მხედველობაში იქნეს მიღებული კომპანიების მოსაზრებები და შენიშვნები. კვლევა 2013 წლის აგვისტოში დაიწყო და დეკემბრის ბოლოს დამთავრდა.

#	კომპანიები	მონაწილეობა მიიღო	შედეგ კომუნიკაცია, მაგრამ მონაწილეობა არ მიიღო	კომუნიკაცია არ შედეგ, თუმცა კვლევის შესახებ ეცნობათ
1	სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“		✓	
2	„ბარამბო“		✓	
3	„ელიტ ელექტრონიკა“		✓	
4	„გუმბათი ჯგუფი“	✓		
5	„კავკასუს ონლაინი“		✓	
6	„კაზინო აჭარა“		✓	
7	„კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“	✓		
8	„მაგთიკომი“	✓		
9	„ლომისი“		✓	
10	„ნიკორა“		✓	
11	„ნიუ ჰოსპიტალისი“	✓		
12	„პოპული“			✓
13	„პროკრედიტ ბანკი“		✓	
14	„პსპ ფარმა“		✓	
15	„რუსთავი 2“			✓
16	„თალაურა მენეჯმენტ კომპანი“		✓	
17	„თეგეტა მოტორსი“	✓		
18	„თელასი“			✓
19	„ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“		✓	
20	„ყაზტრანსგაზ-თბილისი“	✓		
21	„საქართველოს ფოსტა“	✓		
22	„საქართველოს რკინიგზა“		✓	

“პოლიტიკოსების ქონებრივი დეკლარაცია და მათი ფარული ბიზნეს ინტერესები”

საქართველოს კანონმდებლობა ცალსახად მიუთითებს მდგომარეობას, როდესაც საჯარო სამსახურში დასაქმებული მაღალი თანამდებობის პირებს ეკრძალებათ სამეწარმეო საქმიანობა, თუმცა იმ მავნე პრაქტიკამ, რომელმაც გამოიკვეთა საჯარო მოსამსახურეებისა და პოლიტიკოსების ინტერესები ბიზნეს—საქმიანობაში, საჭირო გახდა ყოველწლიური საჯარო დეკლარაციების წარდგენის ვალდებულება.

ორგანიზაციამ, ამ მიმართულებით მონიტორინგის განხორციელება გადაწყვიტა, რომელიც ფუფუნება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილებასა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, დღის წესრიგში მთელი სიცხადით დადგა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების ქონებრივი მდგომარეობის შესწავლა და კანონთან შესაბამისობის დადგენა. ამიტომაც, საზოგადოება, მონიტორინგის განხორციელების პროცესში, თანდათანობით გაეცნობა შედეგებს, რომელსაც ორგანიზაციის სამართლის ჯგუფი მოამზადებს. აღსანიშნავია, რომ ქართულ პოლიტიკურ და სამართლებრივ ისტორიას მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა ახსოვს, რა დროსაც, საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის 31 მარტის დადგენილებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმუშაოდ მოქმედი პარლამენტარისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2006 წელს საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, მოსარჩელის სარჩელი არ დააკმაყოფილა. სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე მოგვცა ნიშანდობლივი განმარტებები, რომლითაც აღინიშნა, რომ პარლამენტის წევრის მიერ სამეწარმეო საქმიანობის ფაქტობრივი განხორციელება, რაც ძირითადად ფარულ ხასიათს ატარებს, თავისი შინაარსით კიდევ უფრო მეტი საფრთხის მატარებელია, ვიდრე ღია და დეკლარირებული კანონდარღვევა კომპანიაში რომელიმე თანამდებობის დაკავების სახით. აღნიშნულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებებით, საზოგადოებაში მნიშვნელოვან დისკუსიას მიეცა დასაბამი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კერძო და საჯარო ინტერესთა კონფლიქტის ნებისმიერ ვითარებაში, ეს კონფლიქტი უნდა მოიხსნას და არჩევანი უნდა გაკეთდეს რომელიმე ინტერესის სასარგებლოდ. თანამდებობის პირის ვალდებულება — შორს დაიჭიროს თავის ინტერესთა კონფლიქტისაგან, წარმოადგენს მის არამართო სამართლებრივ, არამედ ეთიკურ — ზნეობრივ ვალდებულებასაც, რაც მისი საქმიანობის განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარეობს. საჯარო სამსახური ავალდებულებს პიროვნებას, აცნობიერებდეს აღნიშნული ვალდებულების არსს და მოქმედებდეს მის შესაბამისად. აღნიშნული ვალდებულება თანაბრად ვრცელდება საქართველოს პარლამენტის წევრებზეც — სახელისუფლებო სისტემაში მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება მომეტებულადაც კი.

საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკით, ერთი მხრივ დაცულია კანონის მოთხოვნები, მაღალი თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარირება არ ტოვებდეს განსაკუთრებული ვარაუდების საფუძველს, თუმცა იმავე საჯარო მოხელეებს საკუთარი ბიზნეს—ინტერესები გადანაწილებული აქვთ ოჯახის ან/და ახლობლებს, ხოლო მოქმედი საჯარო მოხელეების თანამდებობრივი მდგომარეობა გამოიყენება კანონის ირიბი დარღვევით, პირადი და ოჯახური ფინანსური სარგებლის მისაღებად.



არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ საკითხზე: „პოლიტიკოსების ქონებრივი დეკლარაცია და მათი ფარული ბიზნეს ინტერესები“, განხორციელებული მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა. როგორც დოკუმენტის ანალიზში ნათქვამი, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, დღის წესრიგში მთელი სიცხადით დადგა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების ქონებრივი მდგომარეობის შესწავლა და კანონთან შესაბამისობის დადგენა. საქართველოს კანონი თანამდებობის პირის საგანგებოდ ავალდებულებს, არ გამოიყენოს თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობა პირადი ინტერესების სასარგებლოდ და ამით ზიანი არ მიაყენოს საჯარო ინტერესებს, თუმცა ბოლო წლების პრაქტიკამ ცხადყო, საჯარო სამსახურში დასაქმებული მაღალი თანამდებობის პირები, ცნობილი პოლიტიკოსები მიმართავენ სამეწარმეო საქმიანობის ფაქტობრივ განხორციელებას, რაც გამოიხატება მათი ბიზნეს ინტერესების ოჯახის წევრებსა და ახლობელ ადამიანებზე გადაფორმებითა და მონილოებით.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ თანადამფუძნებლისა და ხელმძღვანელის, არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, ამ მიმართულებით, მონიტორინგის პროცესში ყურადღება დაეთმო საქართველოს პარლამენტის წევრების ქონებრივ დეკლარაციებსა და მათ ბიზნეს ინტერესებს, აგრეთვე, საზოგადოებისთვის მაღალი ინტერესის მქონე პოლიტიკოსების ქონებრივ მდგომარეობას და ბიზნესით მათ დაინტერესებს. მოცემულ ეტაპზე, ორგანიზაციის სამართლის ჯგუფმა მუშაობა დაასრულა თბილისის უფლებამწერებული მერის, გიგი უგულავას, პარლამენტის წევრ გიგი თარგამაძისა და საქართველოს უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის, გიგა ბოკერიას ქონებრივი დეკლარაციის შესწავლაზე. მონიტორინგით გამოიკვეთა მათი ფარული ბიზნეს ინტერესები და ოჯახის წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობა ეკონომიკურად მომგებიან გარიგებებში.

განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ცნობილი ხდება, რომ გიგი უგულავასთან დაკავშირებულ კომპანიებსა და ფირმებს, 13 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი აქვთ მიღებული, ხოლო გიგი თარგამაძესთან დაკავშირებულ ფირმებს 85 მლნ ლარამდე შემოსავალი. გიგი უგულავას შემთხვევაში, საუბარი ძმის, ბიძის, სიდედრის, ქვლის, მამიდისა და სხვა ახლობლების ბიზნესთან საქმიანობაზე და მათ შემდეგ კომპანიებზე: „მანი“, „ჯეოლენდი“, „თ.ფ“, „ლთ ჯგუფი“. მაგალითად, ყოფილი მერის ძმის, ირაკლი უგულავას კომპანია: „ჯეოლენდი“ გამარჯვებულია 38 სახელმწიფო ტენ-

დერში, ერთ პირთან მოლაპარაკებით, სახელმწიფოს მასთან დადებული აქვს 114 ხელშეკრულება, გიგი უგულავას ბიძის, თამაზ გოგიშვილის კომპანია „თ.ფ“—გამარჯვებულია 13 სახელმწიფო ტენდერში, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, მასთან სახელმწიფოს დადებული აქვს 28 ხელშეკრულება. კომპანია საქმიანობს ფიერერეკების ბიზნესში.

მონიტორინგი ყურადღებას მიაქცევს პარლამენტის წევრ გიგი თარგამაძის კავშირებზე ბიზნესთან. დეპუტატის ოჯახი და ოჯახთან დაახლოებული პირები აქტიურად საქმიანობენ მომგებიან კომპანიებში და იღებენ მაღალ მოგებას. მაგალითად, შპს „პაულ შულერ უნდ ირაო გრუპი“, რომლის თანადამფუძნებელი და წილის მფლობელია პარლამენტის წევრის ძმა ზაზა თარგამაძე, 2005-2012 წლებში, მისი ერთობლივი შემოსავლი წარმოადგენდა 60 მლნ ლარზე მეტს. შევნიშნავთ, რომ აღნიშნულ კომპანიის „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, საერთო ჯამში მიღებული აქვს 12 840 051 ლარი. ამასთან, „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, საერთო ჯამში მიღებული აქვს 2 324 780 ლარი. კომპანიას, 2010-2013 წლებში, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ეროვნული ბანკისთვის შესრულებული აქვს 22 მლნ ლარზე მეტის სამუშაოები. კომპანიას, კახეთის რეგიონალური განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, 2012 წელს, შესრულებული აქვს კახეთში სტიქიის დროს დაზიანებული სახლების სახურავების სარემონტო სამუშაოები საერთო ღირებულებით 300 556 ლარი. ამასთან, მონიტორინგის დროს, ორგანიზაციის ყურადღება მიიპყრო კომპანიებმა: შპს „მილკ ვეი“ (ს/6404384910), შპს „ირაო არტ“ (ს/6204536010) და შპს „კალანდა“ (ს/6204874790), რომელთა ხელმძღვანელები/დამფუძნებლები პარლამენტარის ოჯახის წევრები და ახლო მეგობრები არიან.

მონიტორინგის თანახმად, გიგა ბოკერიასთან დაკავშირებულ ფირმებს, არსებული მასალების მიხედვით, 45 მლნ ლარამდე შემოსავალი აქვთ მიღებული. კერძოდ, საჯარო ინფორმაციის თანახმად, გიგა ბოკერიას ფარული ბიზნეს ინტერესები უნდა დაეინახათ მამის, მეუღლის, მეუღლის დისა და სიძის ბიზნეს საქმიანობაში.

გიგა ბოკერიას მამა, ლევან ბოკერია წარმოადგენს სამშენებლო ფირმა შპს „ლეზოს“ (ს/6 205172999), რომლის კომპანიის 100%—იანი წილის მფლობელიცაა. კომპანიის შემოსავალი შეადგენს 2 363 606 ლარს. ლევან ბოკერია, აგრეთვე ფლობს 20%-იანი წილს სამშენებლო

ფირმა შპს „არქსტუდიაში“ (ს/6 211326867), რომლის ერთობლივი შემოსავალი შეადგენს 26 523 662 ლარს.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ გიგა ბოკერიას ცოლის და რუსუდან ჩერგოლიშვილი წარმოადგენს სარემონტო ფირმა შპს „ოლიგ-დიზაინის“ დამფუძნებელს (ს/6 202351383), რომელიც ფლობს 50%—იან წილს. ორგანიზაციის ერთობლივი შემოსავალი შეადგენს 14 621 734 ლარს. რუსუდან ჩერგოლიშვილი, აგრეთვე ფლობს 50%-იან წილს გალერეა შპს „ახალი გალერეაში“ (ს/6 404399593), რომლის ერთობლივი შემოსავალი შეადგენს 161 474 ლარს.

ამასთან, ყურადღებას მივაქცევთ რუსუდან ჩერგოლიშვილის მეუღლის, კახაბერ ნინუა საქმიანობასაც, რომელიც დამფუძნებელია შემდეგ ორგანიზაციებში:

- შპს „გალერეისინგი“, რომლის ერთობლივი შემოსავალია: 324 487 ლარი (ს/6 404915320, წილი - 100%, საქმიანობა: ავტომობილებით მომსახურება)

- ააიპ „სამხედრო ოპერაციებში გარდაცვლილი მოსამსახურეთა და დაზარალებული ოჯახების დახმარების ფონდი „თანადგომა“, რომლის ერთობლივი შემოსავალი იყო 1 552 873 ლარი. კომპანია 2012 წლის აპრილში იქნა ლიკვიდირებული. (ს/6 204559245)

კახაბერ ნინუას 2011 წლის 8 დეკემბერს შეძენილი აქვს 3 025 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთი წყნეთში (ნაკ. 111/033) ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულისკენ. აგრეთვე, 2011 წლის სექტემბერში, 1000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე. შესყიდული ქონებების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 400 000 ლარს.

რაც შეეხება საქართველოს უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის, გიორგი ბოკერიას მიერ წარმოდგენილ ოფიციალურ დეკლარაციას. გიგა ბოკერიას სახელზეა გაფორმებული უძრავი ქონება - ბინა პეკინის გამზირზე N2, ფართობი - 60.00 კვ.მ, ხოლო მეუღლის, თამარ ჩერგოლიშვილის სახელზე გაფორმებულია მსუბუქი ავტომანქანა BMჟ 120. საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობიდან, მას ხელფასის სახით მიღებული აქვს 85790.00 ლარი, ხოლო მეუღლეს, თამარ ჩერგოლიშვილს, ჟურნალ „ტაბულას“ მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან, 132000.00 ლარი. დეკლარაციის მიხედვით, თამარ ჩერგოლიშვილი აღნიშნული ჟურნალის აქციონერია. გიგა ბოკერიას არ გააჩნია ფასიანი ქაღალდები.

დეკლარაციის მიხედვით, გიორგი ბოკერიას სესხის სახით აღებული აქვს 27 000.00 ლარი, ხოლო მეუღლეს, თამარ ჩერგოლიშვილს

52500.00 ლარი. მეუღლეს ეკუთვნის კიდევ ორი სასესხო ვალდებულების აღება, ერთგან 23 500.00 ლარის, ხოლო მეორე შემთხვევაში — 25 000 ლარის ოდენობით. აგრეთვე, თამარ ჩერგოლიშვილის სახელზე, ფრანგულ ბანკში, საბანკო ანგარიშზეა 119 000.00 ევრო, ხოლო საქართველოს ბანკებში შემდეგი ფულადი დანახოვა: 1403.70 აშშ დოლარი („თიბისი ბანკი“) და 6681.00 ლარი („ლიბერთი ბანკი“). თავად გიგა ბოკერიას ანგარიშზე, დეკლარაციის მიხედვით, 7799.56 ლარი გააჩნია. („თიბისი“ ბანკი).

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან და საერთაშორისო ნორმატიული ვალდებულებებიდან გამომდინარე, მიუთითებს, რომ თანამდებობის პირის ვალდებულება — შორს დაიჭიროს თავი ინტერესთა კონფლიქტისაგან, წარმოადგენს მის არამართო სამართლებრივ, არამედ ეთიკურ — ზნეობრივ ვალდებულებასაც, რაც მისი საქმიანობის განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარეობს. საჯარო სამსახური ავალდებულებს პიროვნებას, აცნობიერებდეს აღნიშნული ვალდებულების არსს და მოქმედებდეს მის შესაბამისად. აღნიშნული ვალდებულება თანაბრად ვრცელდება საქართველოს პარლამენტის წევრებზეც — სახელისუფლებო სისტემაში მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება მომეტებულადაც კი. გაეროს „სახელმწიფო თანამდებობის პირთა ქცევის საერთაშორისო კოდექსის“ მიხედვით, სახელმწიფო თანამდებობის პირმა თავისი თანამდებობრივი მდგომარეობა არ უნდა გამოიყენოს შეუფერებელი პირადი ან ოჯახური ან/და ფინანსური სარგებლის მისაღებად“. საქართველოს სინამდვილეში, სამწუხაროდ, ადგილი აქვს კანონის ფორმალურ დაცვას, ხოლო მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების რეალური ბიზნეს ინტერესები გადანაწილებულია ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავების მიმართ.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, მიღებული შედეგების თვალსაზრისით, საჭიროდ მიჩნევენ დაცული იქნეს კანონის მოთხოვნები, მათ შორის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამ მიმართულებით, საჭიროა დაუყოვნებლივ დაიწყოს მოკვლევა და საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის შესწავლა, მათი შესაძლო კავშირები ბიზნესთან, ელიტური ბიზნესის კანონიერება, განისაზღვროს, თუ რას ნიშნავს საჯარო მოხელის „ოჯახური ბიზნეს—ინტერესები“ საქართველოში.

15 იანვრის ბრიფინგი



„ახალგაზრდა ადვოკატები“ დავით ქაზერაშვილის საქმის ბამოხმეაური

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს პროკურატურას სამართლიანობის აღგენის პროცესის დაჩქარებას საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის, დავით კეზერაშვილის მიმართ წაყენებული ბრალდებებზე გამოძიების დაწყებით სთხოვენ და ყოფილი მმართველი პოლიტიკური გუნდის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დასმას მოითხოვენ.

„სამართლიანობის აღდგენის პროცესი ყოფილი მაღალჩინოსნების საქმიანობის გამოძიების დაჩქარებას, გადაწყვეტილებების დროულად და ჯეროვნად მიღებას გულისხმობს. საგანგაშო და საყურადღებოა გაზეთ „ალიამი“ გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, მიხეილ სააკაშვილის მთავრობის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, დავით კეზერაშვილი, სხვადასხვა დანაშაულებებშია ეჭვმიტანილი. ეს არის ძალიან სერიოზული გარემოებები და ფაქტები. ვფიქრობთ, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურამ მყისიერი და ადეკვატური რეაგირება უნდა მოახდინოს. სამართლიანობის აღდგენის პროცესი პროკურატურამ დავით კეზერაშვილის საქმის გამოძიებით უნდა დაიწყოს. აღსანიშნავია ისიც, რომ გაზეთი მზაობას გამოთქვამს ყველა ის დოკუმენტაცია, რომელიც რედაქციას გააჩნია, საქართველოს პროკურატურას გადასცეს“, — განაცხადა ორგანიზაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა არჩილ კაიკაციშვილმა.

განხილვა

„ახალგაზრდა ადვოკატები“ თამარ ჩიხოლიშვილის განცხადებას ეხმაურება

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ საკითხზე: „პოლიტიკოსების ქონებრივი დეკლარაცია და მათი ფარული ბიზნეს ინტერესები“, გამოქვეყნებული მონიტორინგის შედეგებზე საქართველოს უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის, ამჟამად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, გიგა ბოკერიას ქონებრივი დეკლარაციასა და პოლიტიკოსის ეკონომიკურად მომგებიან გარიგებებთან შესაძლო კავშირების თაობაზე, გიგა ბოკერიას მეულის, ქალბატონ თამარ ჩერგოლეიშვილის მხრიდან საჯარო სიერცემი გაერცელებულ განცხადებას პასუხობს. კერძოდ, ორგანიზაცია ეხმაურება ქალბატონ თამარ ჩერგოლეიშვილის განცხადებას, რომლის მიხედვითაც, ოჯახი „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიმართ, სარჩელს შეიტანს, ხოლო გამოქვეყნებული მონაცემები რომელიც ეხებოდა გიგა ბოკერიასთან დაკავშირებულ ფირმებს, რომელსაც მამა, მეუღლე, მეულის და და სიძე ფლობენ, გააჩნიათ 45 მლნ ლარამდე შემოსავალი, მისი შეფასებით, წარმოადგენს მცდარ ინფორმაციას.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, დოკუმენტში მითითებული ყველა მონაცემი წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, მათ შორის ბატონ გიგა ბოკერიას მიერ შევსებული ქონებრივი დეკლარაცია, რომელიც

ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მოქალაქისთვის. შესაბამისად, გაუგებარია ემოცია, რომელიც გამოიწვია გამოქვეყნებულმა კვლევამ, რადგანაც ორგანიზაციამ მხოლოდ ანალიზი მოამზადა იმ საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც არსებობს. ამასთან, მნიშვნელოვანია საზოგადოებაში აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის დროს, ყურადღება დაუთმოს მხარეთა არგუმენტაციას, ხოლო ვიდრე ბატონი გიგა ბოკერიას ოჯახი „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართავენ, მომეტებული საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, სოციალურ გვერდებზე გამოქვეყნებული მოსაზრებების ნაცვლად, უმჯობესი იქნებოდა ბატონ გიგა ბოკერიას ოფიციალური განცხადება გაერცელებინა და საზოგადოებისთვის მიენოღებინა ინფორმაცია, კვლევაში დასახელებული კომპანიების მფლობელები, წარმოადგენენ თუ არა საკუთარი ოჯახის წევრებს, ხოლო შემდეგ საზოგადოებას ემსჯელა, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა, ყოფილ საჯარო მოხელეს ჰქონოდა რაიმე სახით დაკავშირება ჩამოთვლილი კომპანიების საქმიანობასთან. ვფიქრობთ, ქართული საზოგადოება იმსახურებს საქართველოს უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის მხრიდან ოფიციალურ განმარტებას და გვაქვს იმედი, რომ ცნობილი

პოლიტიკოსი საზოგადოების ინტერესის შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მივიჩნევთ, რომ თუკი ბატონი გიგა ბოკერიას ოჯახი მიიღებს გადაწყვეტილებას, გამოქვეყნებულ მონიტორინგში მოტანილი ფაქტების გამო მიმართოს სასამართლოს, იქნება შესაძლებლობა, მხარეებმა საკუთარი არგუმენტები და დასაბუთება უკვე სასამართლო პროცესში წარმოადგინონ. ორგანიზაციას აქვს საკმარისი დასაბუთება იმისთვის, რომ საზოგადოებისთვის შეთავაზებული მონაცემები მტკიცებულებებით გაამყაროს. ამასთან, ორგანიზაცია თემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიმართავს ყურნალისტურ კორპუსს, რათა საკითხის გაშუქების დროს, დაცული იქნეს მხარეთა პოზიციები და არ მოხდეს საკითხის საზოგადოებაში დეცალმხრივად მიტანა. ორგანიზაცია არ ეთანხმება სხვადასხვა გამოცემაში საკითხის შესახებ ისეთ გაშუქებას, როდესაც საუბარია, თითქოსდა „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ გიგა ბოკერიას მიმართ რაიმე სახის „ბრალდებები“ გამოაქვეყნა, ხოლო ოჯახი ამ „ბრალდებებს“ პასუხობს. განვმარტავთ, რომ გამოქვეყნებული მონაცემები საჯარო ინფორმაციის ნაწილია და ის არ განეკუთვნება „ბრალდების“ კატეგორიას. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, საკითხის გაშუქება ტერმინოლოგიის დონეზეც,

სიზუსტით მოხდეს.

ბოლოს, „ახალგაზრდა ადვოკატები“ განვმარტავთ, წარმოდგენილ დოკუმენტში: „პოლიტიკოსების ქონებრივი დეკლარაცია და მათი ფარული ბიზნეს ინტერესები“, ბატონ გიგა ბოკერიასთან დაკავშირებულ შესაძლო ბიზნეს—ინტერესებთან დაკავშირებული კომპანიები, რომლებიც ოჯახის ახლო წევრების მფლობელობაში თუ თანამდებობაშია, არც ერთ მონაკვეთში არ არის მითითებული, თითქოსდა აღნიშნული კომპანიები უკანონო შემოსავლებს იღებდნენ. კვლევამ დასვა მხოლოდ საკითხი: შეიძლება თუ არა ასეთ ვითარებაში დაგვეჩვენა მაშინდელი მაღალი თანამდებობის პირის (პირების) ფაქტობრივი სამართლებრივ საქმიანობის განხორციელება, როდესაც გაეროს „სახელმწიფო თანამდებობის პირთა ქცევის საერთაშორისო კოდექსის“ მიხედვითაც, „სახელმწიფო თანამდებობის პირმა თავისი თანამდებობრივი მდგომარეობა არ უნდა გამოიყენოს შეუფერებელი პირადი ან ოჯახური ან/და ფინანსური სარგებლის მისაღებად“. ასეთ სტანდარტზე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ—ერთი გადაწყვეტილებაც. ახდენდა თუ არა ბატონი გიგა ბოკერია ოჯახის წევრების ბიზნესის მხარდაჭერას, ეს მოვლენა საზოგადოების შინაგანი რწმენის საკითხია.

ჩართულობა

ორგანიზაციის ინიციატივები და მიმართულებები საქარო პოლიტიკის შექმნაზე

„ახალგაზრდა ადვოკატები“ შსს მინისტრს მიმართავენ

ორგანიზაციამ წერილით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ, ალექსანდრე ჭიკაბაძეს მიმართა და პროექტი: „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“ ფარგლებში შეხვედრა ითხოვა. ცნობისთვის: 2013 წლის სექტემბრიდან დღემდე, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ორგანიზაციამ არაერთი შეხვედრა გამართა სხვადასხვა სამინისტროს პირველ პირთან იმ მნიშვნელოვანი და საზოგადოებრივად მაღალი ინტერესის მქონე თემებზე მსჯელობისთვის, რომელიც ეხება სფეროს და სამინისტროს კომპეტენციას. მოგვიანებით, ინსტიტუციური დიალოგის ფარგლებში, ორგანიზაცია გამოაქვეყნებს შეფასებით დოკუმენტს, რომელშიც მკაფიოდ იქნება გადმოცემული საყურადღებო თემების მიმართ, სამინისტროების დამოკიდებულება, მიდგომები და კომპეტენცია. რაც შეეხება შსს სამინისტროს პოზიცია, მინისტრს შეხვედრის თაობაზე მზაობა არ გამოუთქვამს. შეხვედრის შესახებ, ასევე მიმართვა გაიგზავნა საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანისა და სა-

ქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ, დავით ნარმანიას მიმართ. მინისტრები ორგანიზაციასთან შეხვედრაზე დასთანხმდნენ.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს პარლამენტთან მჭიდრო კომუნიკაციას გაუმყარებს

ორგანიზაციამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს მიმართა და საკანონმდებლო ორგანოსთან მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბებისთვის, ურთიერთთანამშრომლობის მეორენდუმის დადების სურვილი გამოთქვა. როგორც წერილში აღინიშნა, „ორგანიზაციის 2014 წლის სამუშაო მიმართულებების განსაზღვრისას, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად დასახელდა საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოსთან მჭიდრო თანამშრომლობა, რის საფუძველზეც ორგანიზაციაში ამოქმედდა საპარლამენტო მდივნის ინსტიტუტი, რომელიც იქნება ორგანიზაციის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოს პარ-

ლამენტთან ურთიერთობისას, მუდმივად გაეცნობა პარლამენტში განსახილველ კანონპროექტებს და მათი აქტუალურობიდან გამომდინარე მოამზადებს შესაბამის დასკვნებს“. ორგანიზაცია, საქართველოს პარლამენტთან ინიციატივის ირგვლივ, დამატებით კომუნიკაციას აწარმოებს.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ პრეზიდენტის ადმინისტრაციას მიმართეს

ორგანიზაციამ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს, ლაშა ბაბიძეს მიმართა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხებითა და სტატისტიკით დაინტერესდა. ორგანიზაციამ გამოთქვა სურვილი, თემის ირგვლივ წარმოადგინოს მოკლე მონიტორინგი. შესაბამისად, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიმართ დასმული იქნა შემდეგი საკითხები: უცხო ქვეყნის რამდენ მოქალაქეს მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა 2013 წლის 27 ოქტომბრიდან 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით? უცხო ქვეყნის რამდენ მოქალაქეს მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა 2013 წლის 01 იანვ-



რიდან 2013 წლის 27 ოქტომბრის ჩათვლით? უცხო ქვეყნის რამდენ მოქალაქეს მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა 2003 წლის 23 ნოემბრიდან 2013 წლის 27 ოქტომბრის ჩათვლით? რომელი ქვეყნის მოქალაქეებს მიენიჭათ საქართველოს მოქალაქეობა 2003 წლის 23 ნოემბრიდან 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით? რა კრიტერიუმი და პრინციპი/მოთხოვნა დაედო საფუძვლად 2003 წლის 23 ნოემბრიდან 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით? ორგანიზაციას, საჯარო ინფორმაციაზე, პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, პასუხი ჯერ არ მიუღია.

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers” არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი “ახალგაზრდა ადვოკატები”



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

მისამართი: თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა №7;

E-mail: pryoungbarristers@yahoo.com, pryoungbarristers@gmail.com; Tel: 551 081803, 2 374509, 2374503; www.barristers.ge; www.facebook.com/ახალგაზრდა ადვოკატები

ორგანიზაციის სადამფუძნებლო საბჭო: არჩილ კაიკაციშვილი, მარიკა არევაძე, თინათინ ნიბლოშვილი

ორგანიზაციის გუნდი: ჯაბა სირაბიძე, ნინი ისაკაძე, ანი კიკნაძე, მარიამ ნეფარიძე, ლევან ბერაძე, ემილ კურბანოვი, სოფო გოგნაძე, ანა ბარათაშვილი, ირაკლი ლეკიშვილი, ანა რაიბული, ნინი ჯაფარიძე, გიგა ასანიშვილი, რობი გეთიაშვილი

სოფიო აზარიაშვილი - საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი; სოფიო კვალაშვილი - ოფის-მენეჯერი; გულუ არევაძე - ფინანსური მენეჯერი